ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 518

19 ნოემბერი
"---"-------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №16-18-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.05.010.033) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აია +"ისთვის (ს/კ. 202215913) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №16-18-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.05.010.033) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აია +"ისთვის (ს/კ. 202215913) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 4 ნოემბრის №21.1527.1699 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №16-18-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.05.010.033) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აია +"ისთვის (ს/კ. 202215913) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5580 (ხუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ახვლედიანი